



კავშირებითა ჩაბოვნი ასოციაციის სანიჭორბაში ცმობარი



კავშირებითა ჩაბოვნი ასოციაციის მ-2 ბარითინაბაი შახვირა

ბაბილი შრობა



2015 წლის 18-20 თებერვალს კახეთის ვეტერინართა რეგიონულ ასოციაციას აჭარის ვეტერინართა რეგიონული ასოციაციის წარმომადგენლები ეწვივნენ. ორი ასოციაციის წევრების შეხვედრა კაჭრეთის შრომისუნარულ სასწავლებელში ჩატარდა, სადაც მხარეებმა ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს და იმსჯელეს შრომისუნარული ერთობლივად გადაჭრის გზებზე. ვეტერინარებმა ასევე მოინახულეს კაჭრეთის საზოგადოებრივ კოლეჯ "ასის" ბაზაზე არსებული მეცხოველეობის ფერმა, ცხვრის შემყრები მოწყობილობა და მებორცილი მიმართულების მეცხოველეობის კომპლექსი. გაცვლითი შრომისუნარული ფარგლებში გაიმართა საკოორდინაციო შეხვედრა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სადაც ვეტერინარებმა რეგიონის სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად რეგიონში არსებულ შრომისუნარულ იმსჯელეს.

2015 წლის 5-6 მარტს ჩაქვი, სასტუმრო ობისში, ცხოველთა ჯანმრთელობის პროგრამის ფარგლებში, ვეტერინართა რეგიონული ასოციაციების რიგით მეორე შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მიზანს წარმოდგენდა, ასოციაციებს შორის გამოცდილების გაზიარება, რეგიონთაშორისი თანამშრომლობის გაღრმავება და ასოციაციების საქმიანობისა და დამოუკიდებლობის ხარისხის შეფასება.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს კახეთის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭისა და აჭარის ვეტერინართა რეგიონული ასოციაციის წარმომადგენლებმა. შეხვედრის მუშაობაში აქტიურად ჩართვნენ ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტისა და კოლორადოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის და რეგიონული ოფისების წარმომადგენლები.

ორი სამუშაო დღის განმავლობაში ასოციაციის წარმომადგენლებმა განიხილეს რეგიონებში არსებული შრომისუნარული საკითხები, ასოციაციების მიერ განხორციელებული საქმიანობა, ერთმანეთს გაუზიარეს რეგიონული გამოცდილება და დასახეს სამომავლო გეგმები.



ბაბიარათა კვლევა



თუმცა ვეტერინართა რეგიონული ასოციაციის წევრების გამოვლენისა და დაგეგმვის მიზნით, ასოციაციების მართვის ცენტრის და კახეთის ვეტერინართა რეგიონული ასოციაციის მიერ განხორციელდა კვლევა. კვლევის ფარგლებში, საკოორდინაციო შეხვედრები გაიმართა კახეთის რეგიონში, გამოიკითხა 41 თუმი მეცხვარე და 7 რეგიონში მომუშავე კერძო ვეტერინარი. კვლევის შედეგებმა გამოავლინა კვალიფიციური ვეტერინარული მომსახურების სიმწირე, ვეტერინარული პუნქტის საჭიროება და ცხვრის მიგრაციის პერიოდში მობილური მომსახურების აუცილებლობა. კვლევა ჩატარდა ევროკავშირის (EU) მიერ დაფინანსებული პროექტის, საქართველოში საძოვრების მდგრადი მართვა ადგილობრივი თემებისათვის კლიმატის ცვლილების მუხბილებისა და მასთან ადაპტაციის სარგებლისა და დივიდენდების დემონსტრირების მიზნით, ფარგლებში, აღნიშნულ პროექტს საქართველოში ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

კავშირებითა ჩაბოვნი ასოციაციის წავრბი კავშირების სავრთაშორისო დღეს აღნიშნავთ

2015 წლის 28 აპრილს ვეტერინართა რეგიონული ასოციაციების წევრებმა ვეტერინარიის სავრთაშორისო დღე უკვე მეორეჯერ აღნიშნეს და წინასწარ დაგეგმილი აქტივობებით შეხვედნენ. ნელს ასოციაციის წევრებმა რეგიონების მოსახლეობას ცნობიერების ასამაღლებელი, საორიენტაციო შეხვედრები და სხვადასხვა კულტურული აქტივობები შესთავაზეს.

- კახეთის რეგიონი- უფასო საკონსულტაციო დღე გამოცხადდა ვეტერინარულ აფთიაქებსა და ვეტერინარული მომსახურების პუნქტებში.
- იმერეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები- ვეტერინარებმა სოფლებში ფერმერთა ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრები გამართეს;
- აჭარის რეგიონი- შრომისუნარული პროექტის მიზნით, შეხვედრები ჩატარდა მალაქმთიანი მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლებში;
- შიდა ქართლის რეგიონი- ვეტერინარებმა საკოორდინაციო შეხვედრები გამართეს გორის და ხაშურის მუნიციპალიტეტებში;
- სამცხე-ჯავახეთის რეგიონი- საორიენტაციო შეხვედრა ჩატარდა ახალციხის კოლეჯ "ოპიზრისა" და უნივერსიტეტის სტუდენტებთან.

მსხვილფეხა პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება

მსხვილფეხა პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება არის მეთოდი რომლის დროსაც მალაქპროდუქტიული და ძლიერი გენეტიკური ისტორიის მქონე ცხოველის სპერმა გროვდება და სპეციალური აღჭურვილობის გამოყენებით ხდება ფურის განაყოფიერება. ხელოვნური განაყოფიერების საშუალებით შესაძლებელია ადგილობრივი ჯიშების გენეტიკური ხაზის გაუმჯობესება და მალაქპროდუქტიული თაობის მიღება. ფერმერს საშუალება ეძლევა სურვილისამებრ შეარჩიოს სასურველი გენეტიკური მონაცემების და ჯიშის, იქნება ეს მეწველი თუ მეხორციული მიმართულების ჯიშები. ცნობარის ამ გამოცემაში შევეცდებით ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტორებზე, რომელიც წარმატებული ხელოვნური განაყოფიერების წინაპირობაა.

1) გამოცდილი ტექნიკოსი ან ვეტერინარი, რაც გაზრდის განაყოფიერების სწორად დაგეგმვის და განხორციელების შანსებს. გადაწყვეტილების მიღებამდე, აუცილებელია ფერმერმა რეგიონში მოიხილოს ტექნიკოსი ან ვეტერინარი, რომელსაც შეუძლია თავისი საქმიანობის დემონსტრირება ან სხვა ფერმერებისგან რეკომენდაციის წარმოდგენა. ვეტერინართა რეგიონული ასოციაციების წევრებს შორის არიან ხელოვნური განაყოფიერების სპეციალიტები და მათი კონტაქტების მოძიება ასოციაციის წევრებთანაა შესაძლებელი. 2) ფურის ფიზიკური მდგომარეობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან სუსტი ფურის ხელოვნური განაყოფიერება ხშირად უარყოფით შედეგს გვაძლევს. თუ ცხოველის გამოკვებულობა, შენახვის პირობები და ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობა არაადაამაყყოფილებელია, ძლიერ გართულებს როგორც ნაყოფის გამოზრდა მუცლადყოფნის პერიოდში ასევე ფიზიოლოგიური მოგების პროცესი. 3) ფურის ახურებაზე დაკვირვება ასევე მნიშვნელოვანია. სხვა (არა ახურების) დროს განხორციელებული ხელოვნური განაყოფიერება ჯი გაზრდის თქვენი დანახარჯებს და არ იქნება შედეგის მომტანი. გაითვალისწინეთ, რომ მალაქპროდუქტიული თაობის მიღების შემდეგ ფერმერულ მეურნეობაში იზრდება ხარჯები ცხოველის საკვებზე. გირჩევთ გადაწყვეტილების მიღებამდე ჯარგად გაანალიზოთ თქვენი ფერმის ფინანსური შესაძლებლობები. მომზადებულია სამეგრელო-ზემო სვანეთის ვეტერინართა რეგიონული ასოციაციის თავმჯდომარის ბესიკ გოგოლის მიერ

AMC

VRA



კითხვები ვატარებ

რა არის ამაჰარი და საშიშია თუ არა აღაშიანის ჯანმრთელობისთვის?

ემჰარი (ჭრიჭინა) არის პირუტყვის მიკრობული დაავადება, რომელსაც ასევე ნიადაგოვან ინფექციასაც უწოდებენ. ემჰარით ადამიანი არ ავადდება. ემჰარის სპორები წლების განმავლობაში ინახება ნიადაგში და ცხოველი როგორც წესი საძოვარზე ან სპორებით დაბინძურებული საკვებით ავადდება.

დაავადებას სიკვდილიანობის მალაქი მაჩვენებელი ახასიათებს და მკურნალობას არ ექვემდებარება. ძირითადი სიმპტომები ვლინდება კოჭლობით, უმადობით, ორგანიზმის ტემპერატურის მომატებით, კიბურების ტკივილით და ინფექციური კერების წარმოქმნით.

დაავადების პრევენციის მიზნით აუცილებელია მოზარდი ცხოველის ვაქცინაცია ემჰარის საწინააღმდეგო ვაქცინით. დღეს საქართველოში შესაძლებელია მსხვილფეხა პირუტყვის პოლივალენტური ვაქცინის შექმნა. მსგავსი ვაქცინები ემჰარის გარდა სხვა არანაყოფი საშიში დაავადებების პრევენციასაც ახდენენ, კერძოდ ისეთებს როგორებიცაა მსხვილფეხა პირუტყვის ჰასტერელოზი, ენტეროკოქსემია და სხვა. გირჩევთ ვაქცინაციის განხორციელებისთვის მიმართოთ ვეტერინარ ექიმს.

საანგარიშო ნარაობები ვატარებთ რაგონული ასოციაციაში

მოაზარეობა ასოციაციის მართვის მართვის მართ
 მის: საქართველო, თბილისი, იეთიმ გურჯის 7ბ
 ტელ.: (+995) 32 245 75 45

აჰარი
 მის: ქ. ბათუმი, ტ. აბუსერიძის 29ა.
 თავმჯდომარე - ნანა ბატანიძე
 ტელ.: 599 57 08 75

იბარათი
 მის: ქ. ქუთაისი, გოგებაშვილის ქ. 16/18/20
 თავმჯდომარე - ზვიად ნატრაშვილი
 ტელ.: 599 71 20 17

სამეგრელო-ზემო სვანეთი
 მის: შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სენაკის ფილიალი
 თავმჯდომარე - ბესო გოგოლი
 ტელ.: 599 501 807

კახეთი
 მის: ქაჭრეთის საზოგადოებრივი კოლეჯი "ასი" გურჯაანი
 თავმჯდომარე - აკაკი ელანიძე
 ტელ.: 593 609 638

სამცხე-ჯავახეთი
 მის: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ახალციხე
 თავმჯდომარე - შოთა ყულჯანიშვილი
 ტელ.: 551 972 900

შიდა ქართლი
 მის: სოფელ ფხვენისის სოციო უკონომიური ზონა, გორი
 თავმჯდომარე - არსენ ნოზაძე
 ტელ.: 593 735694